ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 1

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(კონსოლიდირებული ტენდერი CON150000078)

ქ. თბილისი

25 იანვარი 2016 წელი

ერთი მხრივ სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის საჯარო სკოლა(შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლია სახელაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს ,,ჯეოსელი" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი კორპორაციული ბიზნეს ერთეულის დირექტორის **მალხაზ ჟორჟიკაშვილის** სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20^2 მუხლის, ,,2016–2017 წლებში ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 დეკემბრის N2583 განკარგულებისა და ,,ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 26 დეკემბრის N18 ბრძანების საფუძველზე, ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2016–2017 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON150000078) (შემდგომში - კონსოლიდირებული ტენდერი) შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ძირითადი პირობები

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის თანამშრომლებისა და არათანმშრომლების (დანართი N1-ის შესაბამისად) ნომრებზე (შემდგომში – სააბონენტო ნომრები) მობილური სატელეფონო მომსახურების (შემდგომში მომსახურება) გაწევა (CPV კოდი: 64212000) სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ–გვერდზე გამოქვეყნებული CON150000078 სატენდერო დოკუმენტაციითა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული პირობებითა და ტარიფებით.

1.2. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების საფასური გადაიხდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.3. მიმწოდებელი შემსყიდველის სააბონენტო ნომერზე ახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულებით და ამ ხელშეკრულების დანართი N2-ით (რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია) გათვალისწინებულ მომსახურებას.

1.4. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების დანართ N1-ში მითითებული ჯგუფების მიხედვით წარუდგინოს მიმწოდებელს სააბონენტო ნომრების სია, რომელთაც მიმწოდებელმა უნდა გაუწიოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული თავისებურებების გათვალისწინებით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 180(ასოთხმოცი) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3. სააბონენტო ნომრებიდან, საქართველოს ნებისმიერ საკომუნიკაციო ქსელის ან/და მომსახურების გამწევის სატელეფონო ნომრებზე, რომლებზეც მიმწოდებლის ან/და მომსახურების გამწევის მიერ დაწესებულია სპეციალური ტარიფი, ზარის განხორციელების შემთხვევაში, მათ შორის, ნებისმიერი სხვა საკომუნიკაციო ოპერატორის ქსელის ტრანზიტით (მაგ. 10 07; 10 18 და ა.შ.), საერთაშორისო ან/და ადგილობრივი ზარის განხორციელებისას, არ იმოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტარიფები.

3. თანამშრომლების ნომრების მომსახურებაზე ანგარიშსწორების წესი

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3.2. მიმდინარე თვეს გაწეული მომსახურების დაანგარიშება და შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის შემსყიდველისთვის წარდგენა უნდა მოხდეს ყოველი მომდევნო თვის პირველ 10 რიცხვამდე. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშ-ფაქტურის შემსყიდველის მიერ დადასტურების